

დადგენილება N1

ქ. ბათუმი

07.07.2026

ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი-ის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებულები ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი-ის აკადემიური საბჭოს დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტის შესაბამისად, 2026 წლის 7 ივლისის აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილული დოკუმენტის პროექტზე დაყრდნობით

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი-ის კვლევის ეთიკისა და აკადემიური კუთილსინდისიერების კოდექსი დანართი N1-ის (ქართული რედაქცია) და დანართი N2-ის (ინგლისური რედაქცია) შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ირინე იმერლიშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი
რექტორი



LLC „BAU International University, Batumi“
Academic Council

Address 6010, Batumi
Fridon Khalvashi Av. №237

Tel: (+995 422 21 25 36/+995 422 21 25 37)
Email: info@bauinternational.edu.ge
www.bauinternational.edu.ge

Resolution N1

Batumi

07.07.2026

Pursuant to the Statute of BAU International University Batumi, Article 8, Clause 3, Paragraph "c" and Statute of Academic Council of BAU International University, Batumi, approved on August 4, 2025, taking into the account draft documents discussed on Academic Council Meeting on July 07, 2026

Academic Council decides:

- 1. Research Ethics and Academic Integrity Code** of BAU International University, Batumi to be approved as Annex 1 (Georgian Version) and Annex 2 (English Version).

Chair of Academic Council

Prof. Dr. Irene Imerlishvili
Rector



BAU

International University
Batumi

დამტკიცებულია

ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი-ის
აკადემიური საბჭოს 2026 წლის 7 ივლისის N1 დადგენილებით

კვლევის ეთიკისა

და

აკადემიური კეთილსინდისიერების
კოდექსი

კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი

თავი I. რეგულირების სფერო	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება	3
მუხლი 3. კვლევითი საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპები	4
მუხლი 4. კვლევითი გარემო.....	5
თავი II — კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები.....	7
მუხლი 5. კვლევითი პროცედურები.....	7
მუხლი 6. კვლევითი მონაცემების მართვა	7
მუხლი 7. ავტორობა	7
მუხლი 8. რეცენზირების ეთიკა	8
მუხლი 9. კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.....	8
მუხლი 10. ციტირება	10
მუხლი 11. პლაგიატი.....	10
თავი III — კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შეფასება.....	12
მუხლი 12. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა.....	12
მუხლი 13. რისკებისა და სარგებლიანობის შეფასება	12
მუხლი 14. კვლევის ეთიკის კომიტეტი	13
მუხლი 15. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა	14
მუხლი 16. კვლევის ეთიკური მხარის შეფასება	15
მუხლი 17. კვლევის ეთიკის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება	16
მუხლი 18. კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დარღვევის განხილვის პრინციპები ..	16
მუხლი 19. აკადემიური კეთილსინდისიერების კომისია.....	17
მუხლი 20. აკადემიური კეთილსინდისიერების საქმის განხილვის წესი	17
მუხლი 21. ინტერესთა კონფლიქტი.....	18
მუხლი 22. ინფორმაციის დაცვა და კონფიდენციალურობა	19
თავი IV. რეაგირება და პასუხისმგებლობა.....	21
მუხლი 23. მამხილებელი კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პროცესში.....	21
მუხლი 24. პასუხისმგებლობა.....	21
თავი V — დასკვნითი დებულებები.....	23
მუხლი 25. კოდექსის მოთხოვნათა შესრულება და მონიტორინგი	23
მუხლი 26. კოდექსის გადახედვა და განვითარება	23
მუხლი 27. დასკვნითი დებულებები	23

თავი I. რეგულირების სფერო

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) განსაზღვრავს ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი-ის (შემდგომში - უნივერსიტეტი)
2. კოდექსის მიზანია ბაუ საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი-ის კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ჩარჩოს შექმნა, ევროპული კვლევითი სივრცის (European Research Area – ERA) სტანდარტებთან დაახლოებას, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევების ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, კვლევის ხარისხის, სანდოობისა და საერთაშორისო აღიარების გაძლიერება
3. კოდექსის შინაარსი შეესაბამება ALLEA-ს "The European Code of Conduct for Research Integrity" (2023)-ით განსაზღვრულ პრინციპებსა და რეკომენდაციებს. ეფუძნება Horizon Europe-ის ეთიკურ მოთხოვნებს, UNESCO-ს რეკომენდაციებს, ევროპული კვლევითი სივრცის (ERA) პოლიტიკურ ჩარჩოს, ღია მეცნიერების (Open Science) მიდგომებსა და FAIR მონაცემთა მართვის პრინციპებს.
4. სამედიცინო კლინიკურ კვლევებთან მიმართებით კოდექსი ეფუძნება მოქმედ ჰელსინკის დეკლარაციას, კლინიკური კვლევების შესახებ რეგულაციას და უზრუნველყოფს სამეცნიერო საქმიანობის კარგი პრაქტიკის პრინციპების მხარდაჭერას
5. ამ კოდექსით განსაზღვრული პრინციპები, სტანდარტები, მოთხოვნები და მექანიზმები სავალდებულოდ გამოიყენება უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტში, რომელიც გულისხმობს კვლევის ჩატარებას, ასევე უნივერსიტეტის და მის პერსონალის მიერ, უნივერსიტეტის სახელით განხორციელებად სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში, და ამ მუხლით განსაზღვრულ აქტივობებში ჩართული ყველა პირის მიერ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **კვლევა** — სისტემური ინტელექტუალური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ცოდნის შექმნას, არსებული ცოდნის გადამოწმებას, ინტერპრეტაციას ან განვითარებას, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ბ) **მკვლევარი** — ნებისმიერი პირი, რომელიც უნივერსიტეტის სახელით ან მის ფარგლებში მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონაცემთა ანალიზში, შედამხედველობაში ან კვლევის შედეგების მომზადებასა და გავრცელებაში.
- გ) **კვლევითი**
- დ) **კვლევის კეთილსინდისიერება** — კვლევითი საქმიანობის განხორციელება პატიოსნების, სანდოობის, პატივისცემის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.
- ე) **აკადემიური კეთილსინდისიერება** — აკადემიური საქმიანობის განხორციელება პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის ღირებულებებზე დაყრდნობით.
- ვ) **კვლევის არაკეთილსინდისიერება** — ნებისმიერი ქმედება, რომელიც მოიცავს მონაცემების ან შედეგების გაყალბებას, მიზანმიმართულ დამახინჯებას, პლაგიატს ან სხვა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებას, რომელიც არღვევს კვლევის სანდოობასა და ობიექტურობას.
- ზ) **FAIR პრინციპები** — მონაცემთა მართვის პრინციპები: მოძიებადობა (Findable), ხელმისაწვდომობა (Accessible), თავსებადობა (Interoperable) და ხელახლა გამოყენებადობა (Reusable).

თ) **გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები** — ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მოქმედი პროგრამული სისტემები, რომლებიც გამოიყენება ტექსტის, გამოსახულების, აუდიო, ვიდეომასალის, პროგრამული კოდის ან სხვა შინაარსის გენერირების, აგრეთვე კვლევითი საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის მხარდასაჭერად.

ი) **ინტერესთა კონფლიქტი** — გარემოება, როდესაც პირის პირადი, პროფესიული, ფინანსური, ინსტიტუციური ან სხვა ინტერესი შეიძლება გავლენას ახდენდეს ან ქმნიდეს გავლენის დასაბუთებულ აღქმას მისი გადაწყვეტილების, დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის ან ობიექტურობის მიმართ კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, დაფინანსების, გამოქვეყნების ან კვლევასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის პროცესში.

კ) **ღია მეცნიერება (Open Science)** — კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო ცოდნის, პუბლიკაციების, კვლევის მონაცემების, მეთოდების, პროგრამული კოდის, პროტოკოლებისა და სხვა კვლევითი შედეგების მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, გამჭვირვალობას, გადამოწმებადობასა და ხელახალ გამოყენებას, სამართლებრივი, ეთიკური, ინტელექტუალური საკუთრებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით.

ლ) **პლაგიატი** — სხვა პირის იდეების, ტექსტის, მონაცემების, კვლევის შედეგების, გამოსახულების, მეთოდის ან სხვა ინტელექტუალური თუ შემოქმედებითი პროდუქტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენება და საკუთარ ნაშრომად ან მიღწევად წარმოდგენა სათანადო ციტირების, წყაროს და ავტორის მითითების გარეშე.

მ) **თვითპლაგიატი (Text Recycling)** — ავტორის მიერ საკუთარი ადრე გამოქვეყნებული, შეფასებული ან საჯაროდ ხელმისაწვდომი ტექსტის, მონაცემების, კვლევის შედეგების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ხელახალი გამოყენება შესაბამისი მითითების ან გამჟღავნების გარეშე, ისე, რომ იგი წარმოდგენილია როგორც ახალი და ორიგინალური ნაშრომი ან კვლევის შედეგი.

ნ) **მამხილებელი (whistleblower)** — პირი, რომელიც კეთილი ნების საფუძველზე აცხადებს აკადემიური ან კვლევითი კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის შესახებ და სარგებლობს შესაბამისი დაცვის მექანიზმებით.

მუხლი 3. კვლევითი საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპები

1. უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს:

ა) სანდობა

კვლევა ხორციელდება მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიის, პროფესიული კომპეტენციისა და ეთიკური სტანდარტების დაცვით, ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კვლევის პროცესისა და შედეგების სიზუსტე, ხარისხი და სანდობა.

ბ) პატიოსნება

მკვლევარი ვალდებულია:

- ზუსტად, სრულად და მიუკერძოებლად წარმოადგინოს კვლევასთან დაკავშირებული მონაცემები, მეთოდები, შედეგები და მათი ინტერპრეტაცია;
- არ დაუშვას მონაცემების, ანალიზის ან კვლევის შედეგების გაყალბება, დამახინჯება, შერჩევითი წარმოდგენა ან სხვა ფორმით შეცდომაში შეყვანა;
- უზრუნველყოს კვლევის პროცესის, გამოყენებული მეთოდოლოგიისა და შედეგების გამჭვირვალობა.

გ) პატივისცემა

კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს:

- ადამიანის ღირსება, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები;
- კვლევის მონაწილეთა უსაფრთხოება, კეთილდღეობა და კანონიერი ინტერესები

- გარემოს, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და სხვა მკვლევართა სამეცნიერო წვლილის სათანადო აღიარება.

დ) სამართლიანობა

კვლევითი საქმიანობა ხორციელდება თანასწორობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანი მოპყრობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. კვლევის ყველა მონაწილეს, მკვლევარსა და პარტნიორს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს სამართლიანი შესაძლებლობები, უფლებების დაცვა და მათი სამეცნიერო წვლილის სათანადო აღიარება.

ე) ანგარიშვალდებულება

მკვლევარი და უნივერსიტეტი პასუხისმგებელნი არიან:

- კვლევის ხარისხზე, კეთილსინდისიერად განხორციელებასა და მის შედეგებზე;
- კვლევის შედეგების სანდოობასა და რეპროდუცირებადობაზე, შესაბამისი დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- კვლევის შედეგად წარმოშობილი ეთიკური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი გავლენის პასუხისმგებლიან შეფასებასა და შესაბამის რეაგირებაზე;
- ამ კოდექსით, საქართველოს კანონმდებლობითა და ინსტიტუციური რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე.

2. აღმნიშვნელზე ჩატარებული ყველა კვლევა უნდა ჩატარდეს უნივერსალურად აღიარებული ეთიკური პრინციპების შესაბამისად, კერძოდ:

ა). ავტონომია

ავტონომიის პრინციპი ხორციელდება თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის პროცესის მეშვეობით, რომლის გაუქმებაც შეიძლება ნებისმიერ დროს. პოტენციურ კვლევის მონაწილეს უნდა მიეწოდოს შესაბამისი, ზუსტი და გასაგები ინფორმაცია კვლევითი პროექტის შესახებ, სანამ ის გადაწყვეტს კვლევაში მონაწილეობის მიღებას.

ბ). სარგებლიანობა

სარგებლიანობის პრინციპები მოიცავს მორალურ ვალდებულებას, კვლევამ მაქსიმალურად გაზარდოს პოტენციური სარგებელი და მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური ზიანი. კვლევითი პროექტის დიზაინი უნდა იყოს გონივრული და აკმაყოფილებდეს სამეცნიერო ხარისხის მიღებულ კრიტერიუმებს, ხოლო მკვლევარებმა უნდა აჩვენონ კომპეტენცია, ჩაატარონ კვლევა შესაბამისი პროფესიული ვალდებულებებისა და სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყონ კვლევის მონაწილეთა სათანადო დაცვა.

გ). სამართლიანობა.

შერჩევის კრიტერიუმები უნდა იყოს დაკავშირებული კვლევის მიზანთან და არა მხოლოდ დაფუძნებული, მაგალითად, თანხმობის მიღების სიმარტივეზე.

3. ცხოველების მონაწილეობით კვლევის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს მათი კეთილდღეობა, ჰუმანური მოპყრობა და შესაბამისი ეთიკური და სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა.

მუხლი 4. კვლევითი გარემო

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი ქმნის:

- ა) უსაფრთხო, დამოუკიდებელ და აკადემიურად თავისუფალ კვლევით გარემოს;
- ბ) დისკრიმინაციისგან თავისუფალ აკადემიური სივრცეს;
- გ) თანასწორობის, მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პრინციპების დაცვას;
- დ) კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკისა ეფექტიან განხორციელებას;
- ე) მამხილებელთა დაცვის ეფექტიანი მექანიზმებს;

ვ) მონაცემთა უსაფრთხო, დაცული და გამართული შენახვისა და დამუშავების ინფრასტრუქტურას.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) რეგულარული ტრენინგი კვლევის მეთოდოლოგიაში;

ბ) კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების სწავლება

გ) კვლევითი მონაცემების მართვის (Research Data Management – RDM), FAIR პრინციპების, მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალობის სტანდარტების სწავლება;

დ) გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ეთიკური და პასუხისმგებლიანი გამოყენების სწავლება.

3. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერებით ამ კოდექსში განსაზღვრული პრინციპებისა და უნივერსალური ღირებულებების მისაღწევად უნივერსიტეტი:

ა) ქმნის კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის დოკუმენტალურ და პროცედურულ ბაზას, უნივერსიტეტის აფილირებით ან მისი მონაწილეობით მიმდინარე ყველა კვლევისთვის.

ბ). აყალიბებს კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შეფასებაზე და მათი სავარაუდო დარღვევაზე რეაგირებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს - კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კომიტეტებს.

გ). ადგენს აკადემიური და დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმებს კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევისთვის

თავი II — კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები

მუხლი 5. კვლევითი პროცედურები

1. კვლევა უნდა განხორციელდეს სამეცნიერო სიზუსტის, ეთიკური ნორმების, გამჭვირვალობისა და რეპროდუცირებადობის პრინციპების დაცვით.
2. მკვლევარი ვალდებულია:
 - ა) ზუსტად და სრულად აღრიცხოს კვლევის მონაცემები;
 - ბ) სათანადოდ მიუთითოს გამოყენებული წყაროები;

მუხლი 6. კვლევითი მონაცემების მართვა

1. კვლევითი მონაცემები უნდა შეგროვდეს, დამუშავდეს, შეინახოს, გამოყენებულ იქნეს, გაზიარდეს, დაარქივდეს და განადგურდეს საქართველოს კანონმდებლობის, კვლევის ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, მონაცემთა ხარისხის, მთლიანობის, უსაფრთხოების, სანდოობის, კონფიდენციალობისა და, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.
2. კვლევითი მონაცემების მართვა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა ეფუძნებოდეს FAIR (Findable, Accessible, Interoperable, Reusable) მონაცემთა მართვის პრინციპებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობის, კონფიდენციალობის ან უსაფრთხოების მოთხოვნებს.
3. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრება:
 - ა) კვლევითი მონაცემების შენახვისა და დაარქივების ვადები;
 - ბ) მონაცემებზე წვდომისა და მათი გამოყენების წესები;
 - გ) კონფიდენციალობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნები;
 - დ) მონაცემთა გაზიარების, ხელმისაწვდომობისა და, საჭიროების შემთხვევაში, ხელახალი გამოყენების პირობები;
 - ე) საჭიროების შემთხვევაში, კვლევითი მონაცემების მართვის გეგმის (Data Management Plan – DMP) მომზადებისა და განახლების წესი;
 - ვ) მონაცემთა უსაფრთხო განადგურების პროცედურები.

მუხლი 7. ავტორობა

1. ავტორად მიიჩნევა პირი, რომელმაც კვლევის კონცეპტუალურ შემუშავებაში, დაგეგმვაში, განხორციელებაში ან/და შედეგების მომზადებაში შეიტანა არსებითი და იდენტიფიცირებადი სამეცნიერო წვლილი და რომელიც იზიარებს პასუხისმგებლობას ნაშრომის მთლიანობაზე ან მის შესაბამის ნაწილზე.
2. ავტორობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი სამეცნიერო დისციპლინის საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური პრინციპები და დამკვიდრებული პრაქტიკა.
3. ავტორის არსებითი წვლილი შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის:
 - ა) კვლევის კონცეფციის, ჰიპოთეზის ან დიზაინის შემუშავებას;
 - ბ) მონაცემების მოპოვებას, დამუშავებას ან ანალიზს;
 - გ) თეორიულ ან მეთოდოლოგიურ განვითარებას;
 - დ) ნაშრომის მომზადებას ან მის არსებით სამეცნიერო რედაქტირებას;
 - ე) ნაშრომის საბოლოო ვერსიის დადასტურებას და მის შინაარსზე პასუხისმგებლობის აღებას.
4. ავტორობის შეთანხმება მიღწეულ უნდა იქნეს კვლევის ადრეულ ეტაპზე და საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადახედვას კვლევის მიმდინარეობისას.

5. კვლევითი ნაშრომის გამოქვეყნებისას თითოეული ავტორის წვლილი უნდა განისაზღვროს გამჭვირვალედ. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება CRediT Taxonomy ან სხვა საერთაშორისო აღიარებული ავტორობისა და წვლილის განსაზღვრის სისტემა.

6. დაუშვებელია:

- ა) ფიქტიური (Gift/Honorary) ავტორობა — პირის ავტორად მითითება, რომელსაც ნაშრომში არსებითი სამეცნიერო წვლილი არ შეუტანია;
- ბ) ავტორის განზრახ გამოტოვება ან პირის ავტორად მითითება მისი თანხმობის გარეშე;
- გ) ავტორობის შესახებ მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის წარმოდგენა;

7. ავტორობის რიგითობა განისაზღვრება ავტორთა ურთიერთშეთანხმებით, შესაბამისი სამეცნიერო დისციპლინის დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

8. ავტორობასთან დაკავშირებული დავა განიხილება და წყდება უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტის მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიანი პროცესის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვას.

მუხლი 8. რეცენზირების ეთიკა

1. რეცენზირება უნდა განხორციელდეს პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობის, კონფიდენციალობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

2. რეცენზენტი ვალდებულია:

- ა) შეაფასოს ნაშრომი მხოლოდ მისი სამეცნიერო ხარისხის, მეთოდოლოგიური სისწორის, ორიგინალურობის, არგუმენტაციის სანდოობისა და კვლევის ეთიკის შესაბამისობის საფუძველზე;
- ბ) დაიცვას რეცენზირების პროცესში მიღებული ყველა ინფორმაციის, მათ შორის გამოუქვეყნებელი მონაცემების, იდეების, ჰიპოთეზებისა და შედეგების მკაცრი კონფიდენციალობა;
- გ) არ გამოიყენოს რეცენზირების პროცესში მიღებული გამოუქვეყნებელი ინფორმაცია, მონაცემები ან იდეები საკუთარი ან მესამე პირის კვლევითი, პროფესიული, აკადემიური ან კომერციული მიზნებისთვის ავტორის გამოქვეყნებამდე ან მისი წერილობითი თანხმობის გარეშე;
- დ) დაუყოვნებლივ განაცხადოს ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და ასეთ შემთხვევაში უარი თქვას რეცენზირებაზე;
- ვ) უარი თქვას რეცენზირებაზე, თუ არ გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია ან ვერ შეძლებს რეცენზირების დადგენილ ვადაში განხორციელებას;
- ზ) უზრუნველყოს შეფასების ობიექტურობა, დასაბუთებულობა, სამართლიანობა და ავტორისადმი პროფესიული პატივისცემა;
- თ) რეცენზირება განხორციელოს დადგენილ ვადებში და პროფესიული კეთილსინდისიერების შესაბამისად.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოს რეცენზირების პროცესის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, კონფიდენციალობას და გამჭვირვალე ადმინისტრირებას.

მუხლი 9. კვლევაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

1. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კვლევით საქმიანობაში დასაშვებია მხოლოდ ადამიანის პასუხისმგებლობის, გამჭვირვალობის, მოქმედი კანონმდებლობისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით.

2. ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენების პრინციპებია

ა). ორიგინალობა:

ძირითადი იდეები, არგუმენტები და ანალიზი უნდა იყოს ორიგინალური. ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები მხოლოდ მკვლევარის ორიგინალურ მუშაობას უნდა უჭერდეს მხარს და არ შეცვალოს მისი ინტელექტუალური ძალისხმევა.

ბ). გამჭვირვალობა:

მკვლევარმა ნათლად უნდა ადწეროს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების ნებისმიერი გამოყენება კვლევის პროცესში, მათ შორის მათი როლი ლიტერატურის მოძიებაში, მონაცემთა ანალიზში, წერაში დახმარებაში ან სხვა კვლევით აქტივობაში.

გ). დეკლარირება

მკვლევარმა უნდა განაცხადოს ნაშრომში ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ინფორმაციის ან ანალიზის შესახებ, ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტის, მისი ვერსიისა და მისი წვლილის მასშტაბის ჩათვლით.

დ). პლაგიატის თავიდან აცილება:

მკვლევარი უნდა მოერიდოს ადრე გამოყენებული ნაშრომის ახალ კვლევად წარდგენას, ან მის გადამუშავებას ხელოვნური ინტელექტის დახმარებით. ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი კონტენტი არ უნდა იყოს მოყვანილი, როგორც პირველადი სამეცნიერო წყაროები.

3. მკვლევარი ვალდებულია კვლევის განხორციელების ან კვლევის შედეგების მომზადების პროცესში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოყენების სათანადო და გამჭვირვალე დეკლარირება, კვლევის ნებისმიერ ეტაპზე.

4. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ინფორმაცია აისახება კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილში ან საჭიროების შემთხვევაში, ცალკე დოკუმენტში.

5. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დეკლარირება უნდა მოიცავდეს:

- ა) გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის სისტემის დასახელებასა და ვერსიას;
- ბ) გამოყენების მიზანს;
- გ) გამოყენების მოცულობას;
- დ) ხელოვნური ინტელექტის მიერ შესრულებული ფუნქციების ადწერას;
- ე) ადამიანის მიერ განხორციელებული გადამოწმების, შეფასებისა და საბოლოო დადასტურების ადწერას;
- ვ) გამოყენების ეტაპს.

6. დაშვებულია გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მხოლოდ ტექნიკური და დამხმარე ფუნქციების შესასრულებლად და იმ პირობით, რომ ადამიანის პროფესიული განსჯა, ინტელექტუალური წვლილი და პასუხისმგებლობა სრულად შენარჩუნებულია.

7. დაუშვებელია გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენება:

- ა) არარსებული მონაცემების, შედეგების ან წყაროების გენერირებისთვის;
- ბ) კვლევის შედეგების დამახინჯების ან მანიპულაციის მიზნით;
- გ) პლაგიატის ან სხვისი ტექსტის პარაფრაზირებისთვის, სათანადო ციტირების ან წყაროს მითითების გარეშე;
- დ) რეცენზირების პროცესში რეცენზენტის დამოუკიდებელი პროფესიული შეფასების ჩასანაცვლებლად;
- ე) კვლევის პროცესში ადამიანის პროფესიული განსჯის, სამეცნიერო შეფასებისა და ეთიკური გადაწყვეტილებების სრულად ავტომატიზაციისთვის ან ჩასანაცვლებლად;

8. პერსონალური და კონფიდენციალური მონაცემების გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სისტემებში გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის გამოყენების, უსაფრთხოების, კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვის პროცედურები შეთანხმებულია უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოსთან.

9. მონაცემთა „გაწმენდაში“, ანალიზსა და ვიზუალიზაციაში გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების დროს, მკვლევარმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა მონაცემი და შედეგი ორიგინალური იყოს თავისი კვლევისთვის. მეთოდები, რომლებსაც გამოიყენებს მონაცემთა AI მეშვეობით ანალიზისთვის, უნდა იყოს ახსნილი დეტალურად, ასევე, უნდა აღიწეროს გამოყენებული AI ინსტრუმენტი. ნაშრომის ტექსტში AI-ზე დაყრდნობა, სათანადო მითითების გარეშე, პლაგიატად იდენტიფიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს.
10. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დამალვა ან არასწორი დეკლარირება წარმოადგენს კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევას.
11. მკვლევარი პასუხისმგებელია კვლევის შედეგების სამეცნიერო სიზუსტეზე, სანდოობასა და ეთიკურ შესაბამისობაზე იმ ფარგლებში, რაც დაკავშირებულია მის პროფესიულ საქმიანობასთან და გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებაზე განხორციელებულ კონტროლთან.
12. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები განისაზღვრება ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
13. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება ამ მუხლში აღწერილი პირობებისა და შეზღუდვების საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია ჩაითვალოს კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევად და გამოიწვიოს მკვლევარის პასუხისმგებლობა ამ კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ციტირება

1. უნივერსიტეტისთვის წარდგენილ სამეცნიერო ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდ უნდა იყოს ციტირებული, რათა თავიდან იქნას აცილებული პლაგიატი.
2. ციტირება უნდა შეეხოს პირდაპირ ციტატებს, პერიფრაზებს და იდეებს, რომლებიც არ ეკუთვნის სტუდენტს.
3. ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების, ვებგვერდების და სხვა წყაროების ციტირება უნდა განხორციელდეს APA სტილის შესაბამისად.
4. ციტირების გაფორმების წესის დარღვევა არის ნაშრომის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.
5. თუ ნაშრომში გამოყენებული ცხრილები ან ფიგურები ნასესხებია სხვა წყაროებიდან, უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი სათანადო ციტირება თითოეული ცხრილის ან ფიგურის ქვემოთ APA ფორმატში.
6. წყაროს ციტირების გარეშე ნაშრომში პირდაპირ ან პერიფრაზის ფორმით გამოყენება, შესაძლებელია შეფასდეს როგორც პლაგიატი.
7. აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება უნივერსიტეტს გარეთ (სხვა სამეცნიერო ჟურნალებში/კვლევით ორგანიზაციებში) წარდგენილ სამეცნიერო ნაშრომებზე, რომელიც უნდა შესრულდეს მიმღები ინსტიტუციის სარედაქციო პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 11. პლაგიატი

1. პლაგიატი არის სხვისი ნაშრომის ან/და ნააზრევის საკუთარ ნაშრომში გამოყენება მისი ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.
2. პლაგიატს განეკუთვნება ასევე თვითპლაგიატი, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილების ორჯერ ან მეტჯერ წარდგენა/გამოქვეყნებას საკუთარი ნაშრომის ციტირების გარეშე.
3. პლაგიატი შესაძლებელია იყოს როგორც უნებლიე, ასევე განზრახი. უნებლიე პლაგიატს განეკუთვნება ციტირების წესების დარღვევა დაუდევრობის გამო, ხოლო განზრახ პლაგიატს- სხვისი ნაშრომის ან/და ნააზრევის საკუთარ ნაშრომად/ნააზრევად განზრახ მითვისება.
4. პლაგიატის ფორმებია:

- ა) პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის (განურჩევლად მისი ფორმისა) გამოყენება ავტორის მითითების გარეშე;
- ბ) პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრებების პერიფრაზირება, ავტორის მითითების გარეშე;
- გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მოსაზრებების გაერთიანება ცალკეული ავტორების მითითების გარეშე;
- დ) ნაშრომის ან მისი ნაწილის სხვა პირისგან შეძენა და მისი საკუთარ ნაშრომად წარმოდგენა.

5. პლაგიატის ნებისმიერი ფორმა მიიჩნევა აკადემიურ გადაცდომად და იწვევს შესაბამის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

6. პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირების ინფორმირებას პლაგიატთან დაკავშირებით, აგრეთვე, შესაბამისი სასწავლო კურსებით, ზრუნავს აკადემიური წერის კულტურის დანერგვაზე.

7. პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით:

- ა) უნივერსიტეტის სკოლები უზრუნველყოფს შესაბამის საგანმანათლებლო დოკუმენტებში პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ მითითებას;
- ბ) უნივერსიტეტის სკოლები უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, აგრეთვე, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში სხვა ფორმით ჩართული პირების ინფორმირებას პლაგიატთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული აქტების შესახებ;
- გ) უნივერსიტეტის სკოლები უზრუნველყოფს ნაშრომების შეფასების წესში პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ მითითებას;
- დ) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატთან დაკავშირებით საინფორმაციო მეხვედრების ორგანიზებას;
- ე) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური წერის განვითარებისათვის აუცილებელი ვორქშოპების, სასწავლო კურსებისა და მსგავსი საგანმანათლებლო ღონისძიებების შეთავაზებას;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტში იქმნება პლაგიატის აღმოფხვრის სამუშაო კომისია, რომელიც შეისწავლის პლაგიატთან დაკავშირებულ არსებულ მდგომარეობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
- ზ) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატის აღმოჩენის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას.

8. პლაგიატის აღმოჩენის მიზნით უნივერსიტეტი:

- ა) ამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომებს ელექტრონული პროგრამის მეშვეობით;
- ბ) ახდენს წარმოდგენილი ნაშრომების ორმაგ ფარულ რეცენზირებას;
- გ) ქმნის უნივერსიტეტში წარმოდგენილი ნაშრომების ელექტრონულ ბაზას;

9. ნაშრომების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით შემოწმებისას დგინდება წარმოდგენილი ნაშრომის მსგავსება სხვა ნაშრომებთან. წარმოდგენილი ნაშრომის სხვა ნაშრომებთან აშკარა მსგავსების შემთხვევაში, ნაშრომი ეგზავნება შესაბამის დარგში აღიარებულ ორ რეცენზენტს, რომლებიც შესაძლო პლაგიატის არსებობის შესახებ წარმოადგენენ თავიანთ დასკვნებს.

10. პლაგიატის დადასტურებული ფაქტი შესაძლებელია გახდეს მკვლევარი სტუდენტის/აკადემიური პერსონალის დისციპლინარული პასუხისმგებლობის, ან/და სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული შეეხება ასევე სხვა ინსტიტუციის მიერ გამოვლენილ, და სანდო წყაროებით დადასტურებულ პლაგიატის შემთხვევას უნივერსიტეტის მკვლევარის/სტუდენტთან მიმართებით.

11. აღნიშნული მუხლი, გარდა მე-10 პუნქტისა, არ ვრცელდება უნივერსიტეტს გარეთ (სხვა სამეცნიერო ჟურნალებში/კვლევით ორგანიზაციებში) წარგდენილ სამეცნიერო ნაშრომებზე, რომელიც უნდა შეფასდეს იმდები ინსტიტუციის მიერ.

თავი III — კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შეფასება

მუხლი 12. კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა

1. უნივერსიტეტში კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების განხილვას უზრუნველყოფს:

ა) **კვლევის ეთიკის კომიტეტი** — პასუხისმგებელია ეთიკური საკითხების პრევენციაზე, კონსულტირებასა და ეთიკურ შეფასებაზე;

ბ) **აკადემიური კეთილსინდისიერების კომისია** — პასუხისმგებელია კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დარღვევების განხილვაზე, შეფასებასა და შესაბამისი დასკვნების მომზადებაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, კომპეტენტურობის, კონფიდენციალობის, გამჭვირვალობისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის პრინციპების საფუძველზე.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

ა) კომისიების ფუნქციურ დამოუკიდებლობას საქმიანობის განხორციელებისას;

ბ) ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და მართვის მექანიზმებს

გ) წევრთა შერჩევისა და დანიშვნის გამჭვირვალე, ობიექტურ და წინასწარ განსაზღვრული პროცედურებს;

დ) კომისიების ადმინისტრაციული, ტექნიკური, ორგანიზაციული მხარდაჭერა და საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას;

ე) მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირებას

ვ) აკადემიური საქმიანობის კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის პროცესის რეგულარულ მონიტორინგსა და ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებას.

მუხლი 13. რისკებისა და სარგებლიანობის შეფასება

1. კვლევის ეთიკურობის განხილვამ ხელი უნდა შეუწყოს რისკების მინიმოზაციისა და სარგებლის მაქსიმოზაციას, ამავდროულად უზრუნველყოს პიროვნების პატივისცემა და უზრუნველყოს საუკეთესო შესაძლო რეაგირება, რათა თავიდან აიცილოს გაუმართლებელი ზიანი და არ შეაფერხოს პოტენციურად სასარგებლო კვლევა.

2. კვლევის განაცხადში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი რისკების დონე და ტიპი, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ მონაწილეები.

3. რისკის/სარგებლის შეფასების ფაზებია:

ა). **მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება**

კომიტეტმა უნდა განსაზღვროს რისკების ბუნება, მახასიათებლები და მასშტაბები კვლევის ეთიკის კომიტეტისთვის წარდგენილ კვლევის გეგმის შესაბამისად. კომიტეტმა ყურადღებით უნდა განიხილოს გეგმაში მოცემული რისკების აღწერა, მაგრამ არ უნდა ჩათვალოს, რომ ეს აღწერა აუცილებლად ზუსტი ან სრულია.

ბ). **მოსალოდნელი სარგებლის იდენტიფიცირება**

კვლევითი ჩარევები, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში საზოგადოებისთვის სასარგებლო სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებას გამოიწვევს, გონივრული უნდა იყოს მიღებული ცოდნის მნიშვნელობის მიმართ, შესაბამის რისკებთან შედარებით.

4. კვლევის სუბიექტებისთვის რისკების შეფასებისას უნდა იქნას გათვალისწინებული:

ა) **ფიზიკური მთლიანობის რისკები**, მათ შორის ექსპერიმენტულ პრეპარატებთან და მკურნალობასთან დაკავშირებული რისკები და კვლევაში გამოყენებული სხვა ჩარევები.

ბ) ფსიქოლოგიური რისკები: მაგალითად, კითხვარი შეიძლება წარმოადგენდეს რისკს, თუ ის ეხება ტრავმულ მოვლენებს ან განსაკუთრებით სტრესულ მოვლენებს.

გ) სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური რისკები: მაგალითად, თუ კვლევის დროს შეგროვებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემთხვევით გახმაურდება, მონაწილეებს შეიძლება შეექმნათ დისკრიმინაციისა და სტიგმატიზაციის რისკი.

5. საზოგადოებისთვის რისკების შეფასებისას უნდა იქნას გათვალისწინებული:

ა) კვლევის შედეგად გარკვეული ეთნიკური ან მოსახლეობის ჯგუფები შეიძლება განიცდიდნენ დისკრიმინაციას ან სტიგმატიზაციას, განსაკუთრებით თუ ამ ჯგუფების წევრები იდენტიფიცირებულნი არიან, როგორც კონკრეტული დაავადების ჩვეულებრივზე მაღალი რისკის მქონე პირები.

ბ) კვლევამ შეიძლება გავლენა მოახდინოს არსებულ ჯანდაცვის სისტემაზე: მაგალითად, კვლევაზე გამოყოფილმა ადამიანურმა და ფინანსურმა რესურსებმა შეიძლება ყურადღება გადაიტანოს საზოგადოებაში ჯანდაცვის სხვა აქტუალური საჭიროებებიდან.

6. კვლევითი განაცხადის შეფასებისას უნდა ჩატარდეს რისკებსა და მონაწილეებისა და/ან მათი თემებისთვის პოტენციურ სარგებელს შორის ურთიერთობის სკრუპულოზური შეფასება. რისკების/სარგებლის თანაფარდობის შეფასებისას, კომიტეტმა თავი უნდა აარიდოს რისკების არასაკმარისად შეფასებას და/ან პოტენციური სარგებლის გადაჭარბებულ შეფასებას, რომელთაგან ორივემ შეიძლება გამოიწვიოს მონაწილეთა დაუსაბუთებელი ზიანის მიყენება, ასევე რისკების გადაჭარბებული შეფასება და/ან პოტენციური სარგებლის არასაკმარისად შეფასება, რითაც ხელს შეუშლის პოტენციურად სასარგებლო კვლევას.

7. კვლევის შემფასებელმა არ უნდა დააფუძნოს თავიანთი შეფასება მხოლოდ პროტოკოლში მოცემულ ინფორმაციაზე, არამედ უფლება აქვთ მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, კონსულტაციები გაიარონ ექსპერტებთან და საჭიროების შემთხვევაში გაცვალონ ინფორმაცია სხვა ინსტიტუციებთან

მუხლი 14. კვლევის ეთიკის კომიტეტი

1. კვლევის ეთიკის კომიტეტი წარმოადგენს მრავალდისციპლინურ, პირთა ჯგუფს, რომლებიც დანიშნულნი არიან კვლევითი პროექტებისა და პროტოკოლების განსახილველად, რათა უზრუნველყონ კვლევის მონაწილეთა ღირსების, ფუნდამენტური უფლებების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის სათანადო პატივისცემა და დაცვა.

2. ეთიკის კომიტეტის მიზანია სამეცნიერო მეთოდისა და საზოგადოების ინტერესის გათვალისწინება, კვლევებში ჩართული მოხალისეების უფლებების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დასაცავად

3. კომიტეტის ამოცანებია:

ა). კვლევის ეთიკურად ჩატარების უზრუნველყოფა

ბ). კვლევის კულტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა

გ). მკვლევარებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გაძლიერება

დ). კვლევაში ეთიკური საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

4. კომიტეტის როლი კვლევის პროცესში:

ა). კვლევისთვის მომზადების ფაზაში საჭიროებისამებრ მკვლევარებისთვის ინფორმაციის მიწოდება

ბ). წარდგენილი კვლევის წინადადების ეთიკური განხილვა

გ). კვლევითი პროექტის განხორციელების დროს შემდგომი რეაგირება, კვლევის ჩატარების ეთიკური ასპექტების შესახებ

დ). კვლევის დასრულების შემდეგ ანგარიშების განხილვა

5. ეთიკის კომიტეტი, მოქმედებს მოქმედი ჰელსინკის დეკლარაციის და შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, და უზრუნველყოფს თავისი ეთიკური სტანდარტების დროულ, ყოვლისმომცველ და დამოუკიდებელ განახლებას.

6. კომიტეტს ეკისრება პასუხისმგებლობა იმოქმედოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად.

7. კვლევის ეთიკის კომიტეტების ფუნქციები მოიცავს:

- ა) კვლევის რისკებისა და პოტენციური სარგებლის იდენტიფიცირებას და შეფასებას;
- ბ) კვლევის დიზაინის სამეცნიერო ვალიდურობის შეფასებას
- გ) პროცესისა და მასალების (დაბეჭდილი დოკუმენტები და სხვა ინსტრუმენტები) შეფასებას, რომლებიც გამოყენებული იქნება მონაწილეთა ინფორმირებული თანხმობის მისაღებად;
- დ) მონაწილეთა დაქირავების პროცესისა და ნებისმიერი წახალისების შეფასებას;
- ე) მონაწილეთა კონფიდენციალურობის რისკების და კონფიდენციალურობის დაცვის ადეკვატურობის შეფასებას;
- ვ). მონაწილეთა დისკრიმინაციის დაკავშირებული რისკების შეფასებას
- ზ) ნებისმიერი სხვა საკითხის შესწავლას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კვლევის ეთიკურ მისაღებობაზე.

8. საერთაშორისო კვლევაში კომიტეტი წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. ამრიგად, მან უნდა უზრუნველყოს, რომ მონაწილეები და მათი თემები მიიღებენ სამართლიან სარგებელს კვლევის მიგნებებიდან.

მუხლი 15. კვლევის ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა

1. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

2. ეთიკის კომიტეტის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:

- ა). სამედიცინო ეთიკისა და დეონტოლოგიის სპეციალისტები
- ბ). ბიომედიცინის სპეციალისტები
- გ). პრაქტიკოსი კლინიკისტები (ექიმები)
- დ). პრაქტიკოსი კლინიკისტები (სტომატოლოგები)
- ე). დარგობრივი მიმართულებების (პედიატრია, ფსიქიატრია, ნეონატოლოგია, გინეკოლოგია და მსგ.) წარმომადგენლები
- ვ). ფარმაცოლოგები
- ზ). ბიოსტატისტიკოსები / ეპიდემიოლოგები
- თ). განათლების მეცნიერებათა სპეციალისტები
- ი). იურისტები
- კ). პედაგოგები
- ლ). ფსიქოლოგები
- მ). მონაცემთა დაცვის / IT უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ი
- ნ). რელიგიურ და კულტურულ საკითხთა სპეციალისტები
- ო). საზოგადოების/თემის წარმომადგენლ(ებ)ი, რომელიც არ განეკუთვნებიან არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებას.

3. კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს პირი, რომლის სამეცნიერო კომპეტენცია დადასტურებულია მაღალი რანგის ჟურნალებში პუბლიკაციის ისტორიით და რომლის სამეცნიერო საქმიანობის სფერო მოიცავს მათ შორის კვლევის ეთიკური საკითხების შეფასებას.

4. თავმჯდომარე წარმოადგენს ეთიკის კომიტეტს, აორგანიზებს კომიტეტის სხდომებს, ფასილიტაციას უწევს საკითხის განხილვას, კენჭისყრაზე აყენებს გადაწყვეტილებას კვლევის ეთიკური მისაღებობის შესახებ და ხელს აწერს კომიტეტის დასკვნებს.

5. ამ მუხლით დადგენილი წესების დაცვით განისაზღვრება ეთიკის კომიტეტის შემადგენლობა კონკრეტული მიმართულებისთვის / კონკრეტული კვლევითი პროექტის ეთიკის საკითხის შესაფასებლად.

მუხლი 16. კვლევის ეთიკური მხარის შეფასება

1. კვლევის ეთიკური შეფასების განაცხადი უნივერსიტეტში უნდა შეიტანოს კვლევის მთავარმა მკვლევარმა.

2. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად.

3. ყველა სათანადოდ შევსებული განაცხადი განიხილება მისი წარდგენიდან 1 თვის ვადაში.

4. არასათანადოდ შევსებული განაცხადი უბრუნდება წარმომდგენს.

5. კომიტეტის თავმჯდომარე იხილავს განაცხადს და შუამდგომლობს რექტორთან კვლევითი კომიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე წევრების განაცხადის შეფასებაში ჩართვის შესახებ.

6. კომიტეტმა უნდა შეისწავლოს წარმოებაში მიღებული განაცხადი, კვლევითი წინადადება და მკვლევარის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტაცია და მიიღონ გადაწყვეტილება თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ პერიოდში.

7. საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებელი, მკვლევარი ან სხვა პირი შესაძლებელია მიწვეულ იქნას ეთიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადის შესახებ ინფორმაციის წარმოსადგენად.

8. საკითხის გადაწყვეტისას ეთიკის კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

ა). მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობა და წარმომადგენელი ეთიკურ კითხვებზე წინასწარი რეაგირება

ბ). კვლევის დიზაინის კვლევის მიზნებთან შესაბამისობა

გ). კვლევის ინსტრუმენტებისა და მონაცემთა შეგროვების ფორმების შესაბამისობა,

დ). სტატისტიკური ანალიზი და სამეცნიერო ეფექტურობა, ანუ მყარი დასკვნების გამოტანის პოტენციალი მოხალისის მინიმალური შესაძლო ზემოქმედებით და იმის დადგენა, რომ პროგნოზირებადი რისკები და შეზღუდვები მისაღებია მოხალისის და/ან სხვებისთვის მოსალოდნელი სარგებლის გათვალისწინებით,

ე). მკვლევრის შესაფერისობა წარდგენილი კვლევისთვის/კვლევისთვის მისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით,

ვ). კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელობის, სამედიცინო მონიტორინგისა და ადმინისტრაციული კონტროლის ადეკვატურობა,

ზ). მოხალისეების, საჭიროების შემთხვევაში, მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობა, სისრულე და გასაგებობა,

თ). მოხალისეთა შერჩევის, რეგისტრაციის, ინფორმაციის მიწოდების და ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცედურები

ი). ინფორმირებული თანხმობის ფორმის შინაარსი და სიცხადე, თანხმობის გამოხმობის შესაძლებლობები და პროცედურები

კ). მოხალისეთა პრეტენზიასა და საჩივრებთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებები,

ლ). კომპენსაცია/მკურნალობა მოხალისეთა კვლევაში მონაწილეობით გამოწვეული დაზიანების/ინვალიდობის/სიკვდილის შემთხვევაში.

მ). მკვლევარის და ორგანიზაციის პასუხისმგებლობა, დაზღვევისა და კომპენსაციის უზრუნველყოფა,

ნ). მოხალისეთა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და დაცვის უზრუნველყოფის ზომები

ო). კვლევის მონაწილე მოხალისეებისთვის გადახდები ან/და სხვა წახალისებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9. საჭიროების შემთხვევაში, ეთიკის კომიტეტს შეუძლია კონსულტაციები გაიარონ შესაბამისი დარგის ან ვიწრო სპეციალობის ექსპერტებთან და მოიწვიონ ისინი კონსულტანტებად.

10. ეთიკის კომიტეტის წევრები უფლებამოსილი არიან, დასვან დამატებითი შეკითხვები კვლევის თავისებურების გათვალისწინებით, წერილობით ან კომიტეტის სხდომაზე, ზეპირად. წერილობითად დასმული შეკითხვების კორესპონდენცია ინახება საქმესთან ერთად, ხოლო ზეპირად დასმული შეკითხვები აისახება კომიტეტის სხდომის ოქმში.

11. ეთიკის კომიტეტს არ შეუძლია დაამტკიცოს სამედიცინო კვლევა ბავშვებზე ბავშვთა ფსიქიატრიის ან ბავშვთა ჯანმრთელობისა და დაავადებების სპეციალისტის დადებითი დასკვნის გარეშე, ასევე კლინიკური კვლევა ბავშვთა სტომატოლოგიაში, ბავშვთა სტომატოლოგიის ლიცენზიის მქონე სპეციალისტის გარეშე.

12. ეთიკის კომიტეტს არ შეუძლია დაამტკიცოს ნაყოფის/ჩვილის ჯანმრთელობის შესახებ კვლევა ნეონატოლოგიის, ორსულ ქალზე - გინეკოლოგიის, ხოლო მეძუძურ ქალებზე - დამატებით პედიატრიის სერტიფიცირებული, კლინიკური გამოცდილების მქონე სპეციალისტის გარეშე.

13. ეთიკის კომიტეტს არ შეუძლია დაამტკიცოს საგანმანათლებლო სამოქმედო კვლევა არასრულწლოვნებზე/ზრდასრულებზე შესაბამისად პედაგოგიკის/ანდრაგოგიკის სპეციალისტების, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან დაკავშირებული კვლევა - ინკლუზიური განათლების სპეციალისტის გარეშე.

მუხლი 17. კვლევის ეთიკის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება

1. ეთიკის კომიტეტის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ განხილული განაცხადების შეფასების შედეგად, მას შემდეგ, რაც კომიტეტი გაეცნობა ინფორმაციას ამ კოდექსით განსაზღვრულ ყველა საკვანძო საკითხზე.

2. ეთიკის კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ განხილული ინფორმაცია უნდა იყოს სრული და წარმოდგენილი დოკუმენტები განხილული იყოს გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შეფასებისა და მოსაზრებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ეთიკის კომიტეტს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი შინაარსის გადაწყვეტილება:

ა). კვლევის დამტკიცების შესახებ

ბ). კვლევის პირობით დამტკიცების შესახებ

გ). კვლევის უარყოფის შესახებ

3. ეთიკის კომიტეტს შეუძლია გადაწყვეტილებას დაურთოს რეკომენდაცია.

4. წევრები, რომლებიც არ ეთანხმებიან გადაწყვეტილებას, უფლებამოსილი არიან დააფიქსირონ განსხვავებული აზრი, რომელიც დაერთვის გადაწყვეტილებას.

5. კვლევის პირობით დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად, კვლევის ავტორს წარედგინება პირობა, რომელიც აუცილებლად შესასრულებელია

6. კვლევის უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული

7. ეთიკის კომიტეტის გადაწყვეტილებაში მიეთითება კვლევის სათაური და მისი წარმდგენი, კომიტეტის წევრები, გადაწყვეტილება, და, არსებობის შემთხვევაში, კომიტეტის რეკომენდაციები. გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილი ფორმით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე, ან, მისი არყოფნის ან აცილების შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე. ხელმოწერილი გადაწყვეტილება გადაეცემა განმცხადებელს.

მუხლი 18. კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დარღვევის განხილვის პრინციპები

1. კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დარღვევის შესახებ განცხადების განხილვისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვა:

ა) სამართლიანობა

საქმის განხილვა უნდა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული, გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურების დაცვით, მხარეთა თანასწორი მონაწილეობის, მოსმენის, მტკიცებულებების წარმოდგენისა და დაცვის უფლებათა უზრუნველყოფით;

ბ) კონფიდენციალობა

განხილვის პროცესში მიღებული ინფორმაცია დაცული უნდა იქნეს და გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქმის განხილვის მიზნებისთვის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად;

გ) მიუკერძოებლობა

გადაწყვეტილების მიღების პირები და ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ობიექტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვა ინტერესთა კონფლიქტის, არასათანადო ზეგავლენისა და წინასწარი განწყობის გარეშე;

დ) პროპორციულობა

დარღვევაზე რეაგირების ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს დარღვევის ხასიათს, სიმძიმესა და შესაძლო შედეგებს;

ე) უდანაშაულობის პრეზუმფცია

პირი არ ჩაითვლება ამ კოდექსის დებულებათა დამრღვევად, ვიდრე დარღვევა არ დადასტურდება შესაბამისი პროცედურის შედეგად.

მუხლი 19. აკადემიური კეთილსინდისიერების კომისია

1. კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით დისციპლინურ სამართალწარმოებას ახორციელებს უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კომისია (შემდეგში - კომისია).

2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისგან.

3. კომისიის შემადგენლობის არჩევისას უნდა გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.

4. ინტერესთა კონფლიქტად შეიძლება შეფასდეს ნებისმიერი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს პირს საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში.

5. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ უნივერსიტეტის რექტორი, წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი და კვლევაში ჩართული სხვა პირები.

6. კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დააყენოს შუამდგომლობა კომისიის წევრის აცილების შესახებ.

7. კომისიის წევრის აცილების საფუძველია ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, კერძოდ, კომისიის წევრი აცილებულ უნდა იქნას თუ იგი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

8. ამ მუხლის მე-8 პუნქტში არსებული გარემოებების არსებობისას, კომისიის წევრმა უნდა განახორციელოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ განცხადება წარედგინება რექტორს, რომელიც მიღებისთანავე ითვლება დაკმაყოფილებულად.

9. კომისია ხმების უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრის აცილების ან/და აცილებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც უნდა იყოს დასაბუთებული.

10. კომისიის წევრის აცილების შემთხვევაში, აირჩევა ახალი წევრი.

მუხლი 20. აკადემიური კეთილსინდისიერების საქმის განხილვის წესი

1. კომისიის ფორმირებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, კომისია ეცნობა საქმეში წარმოდგენილ მასალებს, რომლის ასლი ეგზავნება ნაშრომის ავტორს.
2. კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევს უფლება აქვს საქმის მასალების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს თავისი წერილობითი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებით, რომლის წარმოდგენლობა არ აბრკოლებს კომისიის მიერ საქმის განხილვას.
3. წერილობითი ახსნა-განმარტების წარმოდგენის ვადის გასვლიდან 10 (ათი) დღის ვადაში, კომისია ნიშნავს ზეპირ მოსმენას, რომელზეც ნაშრომის ავტორს უფლება აქვს წარმოადგინოს თავისი ზეპირი პოზიცია განსახილველ საკითხთან მიმართებით.
4. ნაშრომის ავტორის მიერ სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხდომა გადაიდება, ხოლო განმეორებით სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია გააგრძელებს საქმის განხილვას.
5. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს რეცენზენტები დაუსვას მათ კითხვები და მათგან მოითხოვოს განმარტებები მათ მიერ წარმოდგენილი დასკვნების შესახებ.
6. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს კვლევის მონაწილეები დასაო კვლევის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.
7. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს ექსპერტები და მათგან მოისმინოს დასკვნები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
8. კომისია ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
9. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის შემდეგ, კომისია ფარული კენჭისყრით კენჭს უყრის კვლევის კეთილსინდისიერების სავარაუდო დამრღვევისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს.
10. ნაშრომის ავტორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კომისიის ყველა დამსწრე წევრის ხმა.
11. კომისიის გადაწყვეტილება ნაშრომის ავტორისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული.
12. კომისიის მუშაობა კონფიდენციალურია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება საჯარო.
13. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ნაშრომის ავტორის მხრიდან აკადემიურ გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.

მუხლი 21. ინტერესთა კონფლიქტი

1. მკვლევარის ინტერესთა კონფლიქტი კვლევაში არსებობს მაშინ, როდესაც მკვლევარებს ან ინსტიტუტებს, სადაც კვლევა ტარდება, აქვთ კონკრეტული ინტერესები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ კვლევასთან დაკავშირებულ ძირითად ვალდებულებებზე და რისკის ქვეშ დააყენონ კვლევის, საკვლევი პოპულაციის შერჩევის, ან კვლევის შედეგების სამეცნიერო ობიექტურობა.
2. კომიტეტის წევრის ინტერესთა კონფლიქტი არსებობს მაშინ, როდესაც კომიტეტის წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია კონკრეტული კვლევის შესახებ დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციის გაცემით, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.
3. წევრებმა, რომლებსაც აქვთ ინტერესთა კონფლიქტი კონკრეტულ კვლევასთან დაკავშირებით, არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ კვლევის განხილვაში.
4. მკვლევარებმა კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა გაანდონ ნებისმიერი ფინანსური ინტერესი მათი კვლევის საგანთან დაკავშირებით.

5. კომიტეტს უნდა ჰქონდეს წვდომა კვლევის ბიუჯეტზე და მიიღოს ინფორმაცია მკვლევარების ფინანსური ინტერესის შესახებ.
6. კვლევის შეთანხმებები არ უნდა აძლევდეს მკვლევარებს საშუალებას დადონ კონტრაქტები, რომლებიც სპონსორს პუბლიკაციაზე ვეტოს უფლებას აძლევს.
7. კვლევის პროექტი და კვლევითი გუნდის შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს უნივერსიტეტის შესაძლებლობას გამოიყენოს კვლევის მიგნებები, სამეცნიერო პუბლიკაციები და კვლევის სხვა შედეგები აფილირების მოქმედი პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 22. ინფორმაციის დაცვა და კონფიდენციალურობა

1. კვლევის ეთიკის კომიტეტმა და აკადემიური კეთილსინდისიერების კომისიამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის დაცვის ძირითადი სტანდარტების და კანონმდებლობით დადგენილი დაცვის ღონისძიებების გარანტირება.
2. საკითხის განხილვაში ჩართული კომიტეტის/კომისიის წევრები და უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი მიღებული ნებისმიერი ინფორმაციისთვის;
3. კვლევითი პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ყველა პერსონალური ინფორმაციის დაცვას არავტორიზებული გამჟღავნებისგან. პერსონალური ინფორმაცია მოიცავს ყველა ინფორმაციას, რომელიც ეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს („მონაცემთა სუბიექტი“); იდენტიფიცირებადი პირი არის ის, ვისი იდენტიფიცირებაც შესაძლებელია, პირდაპირ თუ ირიბად, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრის ან მისი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური იდენტობისთვის დამახასიათებელი ერთი ან მეტი ფაქტორის მითითებით.
4. ყველა პერსონალური ინფორმაცია უნდა იყოს დაცული, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მკვლევარი და მონაწილე სხვა (მაგალითად ექიმ-პაციენტის) სამართალურთიერთობაში. ეს ეხება იმ პერსონალურ ინფორმაციასაც კი, რომელსაც მკვლევარები განსაკუთრებით „მგრძნობიარედ“ არ მიიჩნევენ.
5. ეთიკის კომიტეტმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს, თუ როგორ იქნება დაცული კვლევის დროს მიღებული ინფორმაცია გამჟღავნებისგან და უზრუნველყონ, რომ მინიმუმამდე შემცირდეს რისკი უარყოფით შედეგებისა ინფორმაციის გამჟღავნების გამო.
6. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება შეეხება როგორც ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ინდივიდის კონკრეტულ კვლევაში მონაწილეობასთან, ასევე კვლევის დროს გამოვლენილ ინფორმაციას და კვლევის შემდეგ გამოვლენილ ინფორმაციას.
7. კვლევის წინადადება უნდა შეფასდეს პერსონალური მონაცემების დაცვის შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:
 - ა). მონაცემების შეგროვება, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კვლევის მონაწილეების იდენტიფიცირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია აუცილებელია კვლევითი პროექტის წარმატებით დასრულებისთვის.
 - ბ). როდესაც აუცილებელია იდენტიფიცირებადი ინფორმაციის შეგროვება, პირების სახელების შეცვლა კოდით. ნომრები და კოდის გასაღების შენახვა უსაფრთხო ადგილას, რომელიც მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პირებისთვის არის ხელმისაწვდომი. გასაღების კოდის განადგურება, როდესაც კვლევის მიზნით მონაცემების პირადობასთან დაკავშირება აღარ იქნება საჭირო.
 - გ). თუ ინახება დაკავშირებადი ინფორმაცია (ანუ პოტენციურად იდენტიფიცირებადი მონაცემები), ამ შენახვის მიზანი, მისი ხანგრძლივობა და პირები, რომლებსაც მასზე წვდომა ექნებათ, ნათლად უნდა იყოს მითითებული.
8. ინფორმაცია დაცული უნდა იყოს წვდომის შეზღუდვით, უსაფრთხოა და გამოიყენება დაცული კომუნიკაციის საშუალებები.

9. ინფორმაცია ნადგურდება, როგორც ის აღარ იქნება საჭირო.

10. მონაწილეებს უნდა ეცნობოთ ყველა პერსონალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდება, იმ პირთა წრე, რომელთაც ექნებათ წვდომა ამ ინფორმაციაზე, კონფიდენციალურობის დაცვის ზომები, აგრეთვე რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არასათანადოდ გამჟღავნების შემთხვევაში.

11. ყველა დოკუმენტი და კორესპონდენცია უნდა იყოს დათარიღებული, შენახული და არქივირებული.

12. სხვადასხვა დოკუმენტზე, ფაილსა და არქივზე წვდომისა და მათი გამოყენების უფლებამოსილება აქვს კომიტეტის წევრებს და უნივერსიტეტის უფლებამოსილ წარმომადგენლებს.

13. აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, საბოლოო გადაწყვეტილების გარდა. კომისიის წევრები მოქმედი კანონმდებლობის, ამ კოდექსის და აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკებზე დაყრდნობით განსაზღვრვენ გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოსაყვანი და საჯაროდ გამოსაქვეყნებელ ინფორმაციას.

თავი IV. რეაგირება და პასუხისმგებლობა

მუხლი 23. მამხილებელი კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პროცესში.

1. საუნივერსიტეტო საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელი, ან სხვა პირი, კეთილი ნების საფუძველზე უფლებამოსილია განაცხადოს უნივერსიტეტის ან მისი მკვლევარის მხრიდან აკადემიური ან კვლევითი კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის შესახებ (მამხილებელი).
2. კეთილსინდისიერად მოქმედი მამხილებელი დაცულია ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის ან უარყოფითი ზემოქმედებისგან.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მამხილებლის კონფიდენციალობა კანონით დადგენილი წესით.
4. მამხილებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ხდება უნივერსიტეტის მხრიდან წინასწარი შეფასების ობიექტი და კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების შესაძლო დარღვევის ფაქტის ეჭვის დადასტურების შემთხვევაში გადაეცემა ამ კოდექსით განსაზღვრულ ორგანოებს განსახილველად.
5. მამხილებელს ეცნობება უნივერსიტეტის დასაბუთებული გადაწყვეტილება სადაო ფაქტის ამ კოდექსით დადგენილი წესით შეფასებების შედეგების შესახებ.
6. უნივერსიტეტის უარი მამხილებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე რეაგირებისთვის შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:
 - ა). მამხილებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტი ამ კოდექსის შესაბამისად არ წარმოადგენს კვლევის ეთიკის/აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევას.
 - ბ). წარმოდგენილი ინფორმაციით შეუძლებელია დადგინდეს კვლევის ეთიკის/აკადემიური კეთილსინდისიერების დამრღვევი ან/და მისი დარღვევის ფაქტი.
7. მამხილებლის მიერ განზრახ ცრუ ბრალდება შეიძლება შეფასდეს როგორც აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა

მუხლი 24. პასუხისმგებლობა

1. ამ კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გამოიყენოს შესაბამისი რეაგირების ზომები დარღვევის ხასიათის, სიმძიმისა და შედეგების პროპორციულად.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია უარი თქვას კვლევის ეთიკის დასკვნის მიღების გარეშე ჩატარებული კვლევის დაფინანსებაზე ან მისი განხორციელების სხვაგვარ ხელშეწყობაზე და უარი თქვას აღნიშნული კვლევის უნივერსიტეტისთვის მიკუთვნების/აფილირების თაობაზე.
3. მკვლევარის მიერ კვლევის ეთიკის კომიტეტისთვის მოყვანილი და კომიტეტის გადაწყვეტილებით დადასტურებული პროცედურებისგან გადახვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია:
 - ა) მცირე გადაცდომის შემთხვევაში - მოსთხოვოს მკვლევარს კვლევის მოდიფიცირება კომიტეტის მიერ დადასტურებული პროცედურების შესაბამისად, მკვლევარის ხარჯითა და ძალისხმევით.
 - ბ). საშუალო გადაცდომის შემთხვევაში - უარი თქვას ან/და გააუქმოს კვლევის დაფინანსება ან მისი განხორციელების სხვაგვარი ხელშეწყობა და უარი თქვას აღნიშნული კვლევის უნივერსიტეტისთვის მიკუთვნების/აფილირების თაობაზე.
 - გ). მნიშვნელოვანი გადაცდომის ან/და მესამე პირებისთვის დამდგარი ზიანის შემთხვევაში - მიიჩნიოს გადაცდომა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევად, გაატაროს დამრღვევი მკვლევარის მიერ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები

ან/და დააკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

4. მკვლევარი აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა). მცირე დარღვევის შემთხვევაში - გამოიყენოს შრომითი შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა - შენიშვნა ან გაფრთხილება, ასევე უარი თქვას ან/და გააუქმოს კვლევის დაფინანსება ან მისი განხორციელების სხვაგვარი ხელშეწყობა და უარი თქვას აღნიშნული კვლევის უნივერსიტეტისთვის მიკუთვნების/აფილირების თაობაზე.

ბ). მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაში - შეწყვიტოს პერსონალთან შრომითი ურთიერთობა ან/და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5. მკვლევარი სტუდენტის მიერ აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

ა). მცირე დარღვევის შემთხვევაში - გააუქმოს შესაბამის კომპონენტში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება და გამოიყენოს სტუდენტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა - შენიშვნა ან გაფრთხილება,

ბ). მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაში - გააუქმოს შესაბამის კომპონენტში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება და გამოიყენოს სტუდენტთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა - სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა.

6. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შინაარსიდან და დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი, მიღებული საერთაშორისო პრაქტიკებზე დაყრდნობით უფლებამოსილია გაასაჯაროვოს მიღებული გადაწყვეტილება, უფლებამოსილის პირებისთვის, საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებისთვის, პროფესიული/მარეგულირებელი საბჭოებისა და ასოციაციებისთვის, სარედაქციო კომიტეტებისთვის და სახელმწიფო ორგანოებისთვის მისი მიწოდების ჩათვლით.

7. ამ მუხლში გათვალისწინებული რეაგირების ზომების გამოყენებისას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურის სამართლიანობას, მიუკერძოებლობას, პროპორციულობასა და დაცვის უფლების რეალიზებას. მკვლევარი უფლებამოსილია სასამართლოში გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.

თავი V — დასკვნითი დებულებები

მუხლი 25. კოდექსის მოთხოვნათა შესრულება და მონიტორინგი

1. ამ კოდექსის მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგს უზრუნველყოფენ:

- ა) უნივერსიტეტის რექტორი - ზოგადი მონიტორინგის ნაწილში
- ბ). უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით - კვლევის ეთიკის და აკადემიური პერსონალის საქმიანობის ეთიკის ნაწილში
- გ). უნივერსიტეტის სკოლების ხელმძღვანელები - სტუდენტების აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის ნაწილში
- დ) უნივერსიტეტი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კომიტეტები - პროცედურების შესრულებისა და განვითარების ნაწილში
- ე). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური - პროცედურის ეფექტურობის გარე შეფასების, ასევე კოდექსით დადგენილი დებულებებისა და პროცედურების პერიოდულ გადახედვასა და განვითარებას მიღებულ ინსტიტუციურ და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით.

მუხლი 26. კოდექსის გადახედვა და განვითარება

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს წინამდებარე კოდექსის საჯაროობას, მის განხილვას უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების საბჭოების, აკადემიური საბჭოებისა და სტუდენტების მიერ, ასევე მკვლევართა, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რეგულარული ცნობიერების ამაღლება კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე.

მუხლი 27. დასკვნითი დებულებები

- 1. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები, პროცედურები და რეგულირების მექანიზმები, რომელიც არ არის აღწერილი ამ კოდექსით, შესაბამისობაში უნდა იყოს კოდექსის მოთხოვნებთან. ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება კოდექსის ნორმები.
- 2. კოდექსის პირველი რედაქცია მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, სკოლის საბჭოების მხრიდან კოდექსის პროექტის მოწონების საფუძველზე.
- 3. ცვლილებების და დამატებების ინიცირება კოდექსში შეუძლია უნივერსიტეტის რექტორს, ვიცე-რექტორებს, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოებს, ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კომიტეტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სტუდენტურ თვითმმართველობას.
- 4. ცვლილებების და დამატებები მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. უარი ინიცირებული ცვლილების მიღებაზე უნდა იყოს დასაბუთებული და ეყრდნობოდეს მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო კანონდებლობის, კარგ საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროპული კვლევითი სივრცის მიდგომებთან შესაბამისობას.

Research Ethics And Academic Integrity Code

Research Ethics and Academic Integrity Code	
Chapter I. Scope	3
Article 1. General Provisions	3
Article 2. Definition of Terms	3
Article 3. Fundamental Principles of Research Activities	4
Article 4. Research Environment	5
Chapter II — Principles of Research Ethics and Academic Integrity	6
Article 5. Research Procedures	6
Article 6. Management of Research Data	6
Article 7. Authorship	6
Article 8. Reviewing Ethics	7
Article 9. Use of Artificial Intelligence in Research	7
Article 10. Citation	8
Article 11. Plagiarism	9
Chapter III — Assessment of Research Ethics and Academic Integrity	11
Article 12. Ensuring research ethics and academic integrity	11
Article 13. Risk and Benefit Assessment	11
Article 14. Research Ethics Committee	12
Article 15. Composition of the Research Ethics Committee	13
Article 16. Ethical Assessment of Research	13
Article 17. Decision on Research Ethics	14
Article 18. Principles for Reviewing Alleged Violations of Research Integrity	15
Article 19. Academic Integrity Commission	15
Article 20. Procedure for Evaluation of Academic Integrity Cases	16
Article 21. Conflict of Interest	16
Article 22. Information Protection and Confidentiality	17
Chapter IV. Response and Responsibility	19
Article 23. Whistleblower in the Process of Protecting Research Ethics and Academic Integrity.	19
Article 24. Liability	19
Chapter V — Final Provisions	21
Article 25. Compliance and Monitoring of the Requirements of the Code	21
Article 26. Review and Development of the Code	21
Article 27. Final Provisions	21

Chapter I. Scope

Article 1. General Provisions

1. The Code of Research Ethics and Academic Integrity (hereinafter referred to as the Code) defines the principles and guidelines of BAU International University, Batumi (hereinafter referred to as the University).
2. The purpose of the Code is to create a framework for research ethics and academic integrity at BAU International University, Batumi, to align it with the standards of the European Research Area (ERA), to promote the convergence of research conducted at the University with European and international standards, and to enhance the quality, credibility and international recognition of research.
3. The content of the Code is consistent with the principles and recommendations set out in the ALLEA "The European Code of Conduct for Research Integrity" (2023). Based on the ethical requirements of Horizon Europe, UNESCO recommendations, the European Research Area (ERA) policy framework, Open Science approaches and FAIR data management principles.
4. In relation to medical clinical trials, the Code is based on the current Declaration of Helsinki, the Regulation on Clinical Trials and provides support for the principles of good scientific practice.
5. The principles, standards, requirements and mechanisms defined by this Code are mandatory for all components of the academic educational program of the University, which involve conducting research, as well as for scientific and research activities carried out on behalf of the University, and by all persons involved in the activities defined in this Article.

Article 2. Definition of Terms

The terms used in the Code have the following meanings:

- a) **Research** — systematic intellectual activity aimed at creating new knowledge, verifying, interpreting or developing existing knowledge, using scientifically sound methods and approaches;
- b) **Researcher** — any person who participates in the planning, implementation, data analysis, supervision or preparation and dissemination of research results on behalf of or within the University.
- c) **Research integrity** — conducting research activities in compliance with the principles of honesty, reliability, respect, accountability and transparency.
- d) **Academic integrity** — conducting academic activities based on the values of honesty, trust, fairness and responsibility.
- f) **Research Misconduct** — any act that involves the falsification of data or results, deliberate distortion, plagiarism, or other intentional or grossly negligent act that violates the reliability and objectivity of research.
- g) **FAIR principles** — principles of data management: Findable, Accessible, Interoperable, and Reusable.
- h) **Generative AI tools** — software systems based on artificial intelligence that are used to generate text, images, audio, video, software code, or other content, as well as to support data processing and analysis within the framework of research activities.
- i) **Conflict of interest** — a circumstance in which a person's personal, professional, financial, institutional or other interest may influence or create a reasonable perception of influence over his or her judgment, independence, impartiality or objectivity in the planning, implementation, evaluation, funding, publication or other research-related activities.
- j) **Open Science** — an approach to conducting research that ensures maximum accessibility, transparency, verifiability and reusability of scientific knowledge, publications, research data,

methods, software code, protocols and other research results, while complying with legal, ethical, intellectual property and security requirements.

k) **Plagiarism** — the use of another person's ideas, text, data, research results, images, methods, or other intellectual or creative product in whole or in part and presenting it as one's own work or achievement without proper citation, source, and authorship.

m) **Self-plagiarism (Text Recycling)** — the reuse by the author of one's own previously published, evaluated, or publicly available text, data, research results, or a significant part thereof, without appropriate reference or disclosure, so that it is presented as a new and original work or research result.

n) **Whistleblower** — a person who, in good faith, reports a possible violation of academic or research integrity and benefits from appropriate protection mechanisms.

Article 3. Fundamental Principles of Research Activities

1. Research activities at the University are based on the following fundamental principles:

a) **Reliability**

Research is carried out in compliance with scientifically sound methodology, professional competence and ethical standards, in such a way as to ensure the accuracy, quality and reliability of the research process and results.

b) **Integrity**

The researcher is obliged to:

- accurately, completely and impartially present the data, methods, results and their interpretation related to the research;
- not allow falsification, distortion, selective presentation or other form of misleading of data, analysis or research results;
- ensure transparency of the research process, methodology used and results.

c) **Respect**

When carrying out research activities, the following must be respected:

- human dignity, fundamental rights and freedoms;
- Safety, well-being and legitimate interests of research participants
- Protection of the environment, biodiversity and cultural heritage;
- Intellectual property rights and due recognition of the scientific contributions of other researchers.

d) **Justice**

Research activities are carried out based on the principles of equality, impartiality, fair treatment and non-discrimination. All research participants, researchers and partners must be provided with fair opportunities, protection of rights and due recognition of their scientific contributions.

e) **Accountability**

The researcher and the University are responsible for:

- The quality of the research, its conscientious implementation and its results;
- The reliability and reproducibility of the research results, taking into account the specifics of the relevant discipline;
- Responsible assessment of the ethical, scientific and public impact arising from the research and appropriate response;
- Compliance with the requirements established by this Code, Georgian legislation and institutional regulations.

2. All research involving human subjects should be conducted in accordance with universally recognized ethical principles, namely:

a). Autonomy

The principle of autonomy is implemented through a process of free and informed consent, which can be withdrawn at any time. Potential research participants should be provided with relevant, accurate and understandable information about the research project before they decide to participate in the research.

b). Benevolence

The principles of benevolence include the moral obligation that research should maximize potential benefits and minimize potential harms. Research project design should be reasonable and meet accepted criteria of scientific quality, and researchers should demonstrate competence to conduct research in accordance with appropriate professional obligations and standards and to ensure appropriate protection of research participants.

c). Fairness

Selection criteria should be related to the purpose of the research and not based solely on, for example, the ease of obtaining consent.

3. In the case of research involving animals, their welfare, humane treatment, and compliance with relevant ethical and legal requirements must be taken into account.

Article 4. Research Environment

1. In order to achieve the goals set out in this Code, the University creates:

- a) a safe, independent and academically free research environment;
- b) an academic space free from discrimination;
- c) adherence to the principles of equality, diversity and inclusion;
- d) effective implementation of the research ethics and academic integrity policy;
- e) effective whistleblower protection mechanisms;
- f) infrastructure for safe, secure and proper data storage and processing.

2. The University shall provide:

- a) regular training in research methodology;
- b) training in research ethics and academic integrity
- c) training in Research Data Management (RDM), FAIR principles, data protection and confidentiality standards;
- d) Teaching the ethical and responsible use of generative artificial intelligence tools.

3. In order to achieve the principles and universal values defined in this Code of Research Ethics and Academic Integrity, the University:

- a) Creates a documentary and procedural basis for ensuring research ethics and academic integrity for all research conducted with the University's affiliation or participation.
- b). Establishes bodies responsible for assessing research ethics and academic integrity and responding to their alleged violations - Research Ethics and Academic Integrity Committees.
- c). Establishes mechanisms of academic and disciplinary responsibility for violations of research ethics and academic integrity

Chapter II — Principles of Research Ethics and Academic Integrity

Article 5. Research Procedures

1. Research shall be conducted in accordance with the principles of scientific rigor, ethical norms, transparency and reproducibility.
2. The researcher shall:
 - a) accurately and completely record research data;
 - b) appropriately indicate the sources used;

Article 6. Management of Research Data

1. Research data shall be collected, processed, stored, used, shared, archived and destroyed in accordance with the legislation of Georgia, the principles of research ethics and professional standards, ensuring data quality, integrity, security, reliability, confidentiality and, in cases provided for by law, accessibility.
2. Research data management, to the extent possible, should be based on the FAIR (Findable, Accessible, Interoperable, Reusable) data management principles, unless this contradicts Georgian legislation, confidentiality or security requirements.
3. The legal acts of the university shall define:
 - a) the terms of storage and archiving of research data;
 - b) the rules for accessing and using data;
 - c) the requirements for confidentiality and protection of personal data;
 - d) the conditions for sharing, accessing and, if necessary, re-using data;
 - e) the procedure for preparing and updating a research data management plan (Data Management Plan – DMP), if necessary;
 - f) procedures for secure data destruction.

Article 7. Authorship

1. An author is considered to be a person who has made a substantial and identifiable scientific contribution to the conceptual development, planning, implementation and/or preparation of the results of the research and who shares responsibility for the entire work or its relevant part.
2. When determining authorship, international standards, ethical principles and established practice of the relevant scientific discipline should be taken into account.
3. The author's substantial contribution may include, among others:
 - a) development of the research concept, hypothesis or design;
 - b) acquisition, processing or analysis of data;
 - c) theoretical or methodological development;
 - d) preparation of the work or its substantial scientific editing;
 - e) approval of the final version of the work and taking responsibility for its content.
4. Authorship agreement should be reached at an early stage of the research and, if necessary, subject to revision during the research.
5. When publishing a research paper, the contribution of each author should be determined transparently. If necessary, the CRediT Taxonomy or another internationally recognized system for determining authorship and contribution should be used.
6. The following are not allowed:
 - a) Fictitious (Gift/Honorary) authorship - indicating a person as the author who did not make a substantial scientific contribution to the work;
 - b) Intentional omission of an author or indicating a person as the author without his consent;

- c) Presentation of false or misleading information about authorship;
- 7. The order of authorship is determined by mutual agreement of the authors, taking into account the established practice of the relevant scientific discipline.
- 8. Disputes related to authorship shall be considered and resolved in accordance with the procedure established by the University's Research Ethics Committee, which shall ensure compliance with the principles of fair process, impartiality, transparency, and equality of parties.

Article 8. Reviewing Ethics

1. Reviewing shall be carried out in accordance with the principles of professionalism, competence, objectivity, impartiality, independence, confidentiality and integrity.
2. The reviewer shall:
 - a) evaluate the work solely on the basis of its scientific quality, methodological soundness, originality, reliability of argumentation and compliance with research ethics;
 - b) maintain strict confidentiality of all information obtained during the review process, including unpublished data, ideas, hypotheses and results;
 - c) not use unpublished information, data or ideas obtained during the review process for his or her own or a third party's research, professional, academic or commercial purposes before publication or without the author's written consent;
 - d) immediately declare the existence of any conflict of interest and in such cases refuse to review;
 - f) refuse to review if it does not have the appropriate competence or is unable to carry out the review within the established deadline;
 - g) ensure the objectivity, justification, fairness and professional respect for the author of the assessment;
 - h) carry out the review within the established deadlines and in accordance with professional integrity.
3. The university shall ensure the independence, impartiality, confidentiality and transparent administration of the review process.

Article 9. Use of Artificial Intelligence in Research

1. The use of generative artificial intelligence in research activities is permitted only in compliance with the principles of human responsibility, transparency, applicable legislation and research ethics.
2. The principles of ethical use of artificial intelligence are
 - a). **Originality:**
The main ideas, arguments and analysis must be original. Artificial intelligence tools should only support the original work of the researcher and not replace his intellectual efforts.
 - b). **Transparency:**
Researchers must clearly describe any use of AI tools in the research process, including their role in literature searching, data analysis, writing assistance, or other research activities.
 - c). **Declaration**
The use of AI tools, as well as any AI-generated content or analyses included in the work, must be disclosed, together with the AI tool used, its version, and the extent of its contribution.
 - d). **Avoiding plagiarism:**
Researchers should avoid presenting previously used work as new research, or reworking it with the help of artificial intelligence. Content created by artificial intelligence should not be cited as primary scholarly sources.

3. The researcher is obliged to declare the use of generative artificial intelligence tools at any stage of the research or preparation of research results in accordance with the principles set out in this Article.
4. Information on the use of generative artificial intelligence is reflected in the research methodology section or, if necessary, in a separate document.
5. The declaration of the use of generative artificial intelligence should include:
 - a) the name and version of the artificial intelligence system used;
 - b) the purpose of use;
 - c) the scope of use;
 - d) a description of the functions performed by the artificial intelligence;
 - e) a description of the verification, evaluation and final confirmation carried out by a human;
 - f) the stage of use.
6. The use of generative artificial intelligence is permitted only to perform technical and support functions and on the condition that human professional judgment, intellectual contribution and responsibility are fully preserved.
7. It is not allowed to use generative artificial intelligence:
 - a) to generate non-existent data, results or sources;
 - b) to distort or manipulate research results;
 - c) for plagiarism or paraphrasing of someone else's text, without proper citation or reference to the source;
 - d) to replace the reviewer's independent professional assessment in the review process;
 - e) to fully automate or replace human professional judgment, scientific evaluation and ethical decisions in the research process;
8. The use of personal and confidential data in generative artificial intelligence systems is permitted only if the aforementioned procedures for use, security, confidentiality and data protection are agreed with the University's Ethics Council.
9. When using generative artificial intelligence tools in data 'cleaning', analysis and visualization, the researcher should ensure that all data and results are original to their research. The methods used to analyze the data through AI should be explained in detail, and the AI tool used should be described. Relying on AI in the text of the paper, without proper reference, can be the basis for identification as plagiarism.
10. Hiding or misrepresenting the use of generative artificial intelligence is a violation of research ethics and academic integrity principles.
11. The researcher is responsible for the scientific accuracy, reliability and ethical compliance of the research results within the limits related to his professional activity and the control over the use of generative artificial intelligence tools.
12. Other requirements related to the use of generative artificial intelligence will be determined in accordance with technological developments, taking into account international standards and best practices.
13. Unethical use of Generative Artificial Intelligence tools, which contravene to the principles set in this Article can be considered as breach of research ethics or academic integrity principles and subject to researchers responsibility as set by this Code.

Article 10. Citation

1. All sources used in a scientific paper submitted to the university must be properly cited in order to avoid plagiarism.
2. Citation should concern direct quotes, paraphrases and ideas that do not belong to the Researcher.
3. Citation of literature, scientific articles, websites and other sources must be carried out in accordance with the APA style.

4. Violation of the citation format is a basis for refusing to accept the paper before revision.
5. If the tables or figures used in the paper are borrowed from other sources, their proper citation must be ensured below each table or figure in APA format.
6. Using the source directly or in the form of a paraphrase in the paper without citing it may be considered plagiarism.
7. This article does not apply to scientific papers submitted outside the university (in other scientific journals/research organizations), which must be submitted in accordance with the editorial policy of the receiving institution.

Article 11. Plagiarism

